



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება)
(კასპის მუნიციპალიტეტის ქ. კასპის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ხატია მოსიძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: თამარ ლომიძე

კვების დარგში ექსპერტი: თამარ ქრისტესაშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ხათუნა ქიტიაშვილი



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	232559781
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	კასპის მუნიციპალიტეტის ქ. კასპის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი	კასპის მუნიციპალიტეტი, ქალაქი კასპი, გიორგი სააკაძის ქუჩა N68



(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	კასპის მუნიციპალიტეტი, ქალაქი კასპი, ეფრემ მეორის ქუჩა N2ა
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 2 25 0000989806 15.08.2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	02.09.2025- 03.09.2025
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა
6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ	
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და	



შეწვევების დროებითი წესი ¹ -ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.					
N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში”	ქართული		112 ბავშვი
		სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში”			ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ არ ეთანხმება ☐

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 2 და 3 სექტემბერს ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების, ქ. კასპის N 2 საბავშვო ბაღში. ვიზიტი წარიმართა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ჯგუფის წევრები დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაეცნენ და შეისწავლეს ყველა ის საკითხი რაც გათვალისწინებული იყო დღის წესრიგით: დაათვალიერეს ფიზიკური გარემო, ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები, გაეცნენ ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პროცესებს, დოკუმენტაციის წარმოების წესს და ა.შ. ინტერვიუ ჩაატარეს გაერთიანების ხელმძღვანელთან, ბაღის გამგესთან, მეთოდისტთან, აღმზრდელებთან და სხვა დანარჩენ პერსონალთან. შეფასებისას გამოიკვეთა დაწესებულების როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები. დაფიქსირდა ის საკითხები, რაც საჭიროებს გაუმჯობესება/გამოსწორებას. ექსპერტების მიერ აღწერილი შედეგები ობიექტურად აისახა დასკვნის პროექტში.

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მადიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....

.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....



ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა) (1. ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში” 2. სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში”)		
2. კურიკულუმი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი



1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია (დანართი N 1.2.3 ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა), რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ (დანართი N 2.3 ბრძანება N 122 24.07.2025) მისია ფორმულირებულია შემდეგნაირად: “თითოეული ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე ორიენტირებული გარემო პირობებში ხარისხიანი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება ბავშვის უნიკალური შესაძლებლობების და საჭიროებების გამოვლენა. ბავშვის კეთილდღეობაზე ჰარმონიულ და მრავალმხრივ განვითარებაზე”. აღნიშნულ მისიაში იკვეთება ბავშვის ინტერესების დაცვაზე აქცენტი და გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული სივრცე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ მისია გამართული იყოს სტილისტურად, რათა მკითხველისთვის და დაინტერესებული პირისთვის იყოს მეტად გასაგები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები (დანართი N 1.2.3 ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა), გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. ხედვა ეხმიანება დაწესებულების მისიას და ფორმულირებულია შემდეგნაირად: **“მომავალი 10 წლის განმავლობაში საბავშვო ბაღებში ხარისხიანი ინკლუზიური განათლებით უზრუნველყოფა. თანამედროვე მეთოდების დანერგვა. თითოეული აღსაზრდელის მრავალმხრივი განვითარებისათვის. საგანმანათლებლო პერსონალის ეფექტურად მუშაობა და ოჯახთან უწყვეტი თანამშრომლობა”**. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხედვაში განსაზღვრულია დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაწესებულებას დასახული აქვს მიზანი და მიზნის მიღწევის გზა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ღირებულებები, წარმოადგენს იმ ძირითად პრინციპებს, რომელთა გათვალისწინებითაც მოქმედებს დაწესებულება:

1. ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვა;
2. თანამშრომელთა პროფესიონალიზმი;
3. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში პოზიტიური და სამართლიანი გარემოს უზრუნველყოფა;
4. მშობლებთან თანამშრომლობა;

აღნიშნული ღირებულებები ეფუძნება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მისიას და ხედვას და აყალიბებს მოლოდინებს ბაღის სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხედვა გამართული იყოს სტილისტურად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულების მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესი ასახულია ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებულ ბრძანებაში - „ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების საბავშვო ბაღებისთვის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ (დანართი N 22 ბრძანება N 93, 26.06.2025) . დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტში განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები: გაერთიანების დირექტორი, გაერთიანების აპარატის სპეციალისტები, საბავშვო ბაღების გამგეები, მეთოდისტები და ფსიქოლოგები. მათი ჩართულობა მტკიცდება ამავე დოკუმენტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებები რომ შექმნილია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, დასტურდება ა(ა)იპ კასპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებით (№ 93. 26.06.2025 დანართი N 22) . გაერთიანების ხელმძღვანელთან და ბაღის გამგესთან ინტერვიუს შედეგად დაადსტურდა, რომ დოკუმენტი გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან: დაწესებულებების პერსონალთან, მშობლებთან. დოკუმენტი საჯაროდაა განთავსებული კასპის N 2 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია;

რეკომენდაცია



რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ საკუთარ სოციალურ ქსელში ატვირთოს მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი, რათა ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N 22 - ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ 2025 წლის 26 ივნისის N 93 ბრძანება „მისია, ხედვა და ღირებულებების სამუშაო ჯგუფი შექმნის შესახებ“ ;
2. დანართი N 1.2.3 - ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ 2025 წლის 24 ივლისის N 122 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა“ ;
3. მისიის ამსახველი დოკუმენტი (გამოკრულია ბაღში თვალსაჩინო ადგილზე);
ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:			
1.1 დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐



1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დანართი N 1.2.3 - ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა), რომელიც წარმოდგენილია სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმის დანართად და დამტკიცებულია ბრძანებით (დანართი N 2.3 ბრძანება №122 24.07.2025). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია არ მოიცავს სტრატეგიული გეგმის, ასევე სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ფორმებს და პერიოდულობას. თუმცა, აღნიშნული ხარვეზი წარმოდგენილი აქვთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში (1.2), სადაც იდენტიფიცირებულია შეუსაბამობის აღწერა, განსაზღვრული აქვს შესრულების ვადები, შესრულებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, აქტივობები და პასუხისმგებელი პირები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას (დანართი N 23 - სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება № 120 15.07.2025 წ და ასევე დანართი N 24 სტრატეგიული განვითარებისა და მეთოდოლოგიის შემუშავების და დამტკიცების შესახებ მეთოდოლოგიური სხდომის ოქმი № 1 25.07.2025 წ) შესაბამისად, განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და მათი ჩართულობის გზები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება. ამისათვის შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა. ასევე, სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ფორმა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული გეგმა (დანართი N 1.2.3 ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა), რომელიც წარმოდგენილია სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის დანართად და დამტკიცებულია კასპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ (დანართი N 2.3 ბრძანება №122 24.07.2025). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის 5 წლიანი და ციკლური - დამტკიცებულია 5 წლიანი პერიოდისთვის (2025-2030 წწ).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს:

მიზანი 1 - საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების გაძლიერება ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის, ბავშვთა უსაფრთხოებისა და ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად;

ამოცანა 1.1 საბავშვო ბაგა-ბაღების შენობა-ნაგებობების, შიდა და გარე სივრცეების/ეზოების გამართვა სტანდარტებთან შესაბამისობაში;

ამოცანა 1.2 შენობის შიდა სივრცეების სტანდარტების მიხედვით მოწყობა და საჭირო რესურსებით აღჭურვა;

ამოცანა 1.3 საბავშვო ბაგა-ბაღებში ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების გაძლიერება;

ამოცანა 1.4 ინკლუზიურობის უზრუნველყოფა - ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა;

მიზანი 2 - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სისტემის გაძლიერება პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და მაღალხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად;



ამოცანა 2.1 საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციების ამაღლება ტრენინგების, სწავლებისა და მენტორინგის გზით;

ამოცანა 2.2 საბავშვო ბაგა-ბაღების და გაერთიანების პერსონალის ტრენინგ საჭიროებების იდენტიფიცირების სისტემის დანერგვა ;

ამოცანა 2.3 საბავშვო ბაგა-ბაღების და გაერთიანების პერსონალის შეფასების და განვითარების სისტემის დანერგვა;

მიზანი 3 - ოჯახისა და თემის ჩართულობის გაძლიერება საადმინისტრაციო/საგანმანათლებლო პროცესის ჰარმონიულობის უზრუნველსაყოფად და ბავშვთა განვითარების ხელშეწყობისთვის;

ამოცანა 3.1 ოჯახისა და თემის ინფორმირებულობის ამაღლება სკოლამდელი აღზრდის და ჩართულობის მნიშვნელოვნების შესახებ;

ამოცანა 3.2 ოჯახთან/თემთან საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება და იმპლემენტაცია;

ამოცანა 3.3 ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის შეფასების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მისაღწევად საჭირო კონკრეტული ქმედებები. აღნიშნული დოკუმენტი მითითებულია შესაბამისობის გეგმაში (1.2), განსაზღვრულია შესრულების ვადა (12 თვე), დოკუმენტის შექმნაზე პასუხისმგებელი პირები და საჭირო ადამიანური რესურსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება. ამისათვის, დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა , სადაც გაწერილი იქნება ერთი სააღმზრდელო წლის განმავლობაში შესასრულებელი ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობს 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმის მიზნებიდან.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა. დოკუმენტის შემუშავების ვადები მითითებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში (1.2), სადაც გაწერილია შესრულების ვადები (12 თვე) , პასუხისმგებელი პირები და საჭირო ადამიანური რესურსი.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება. ამისათვის, დაწესებულებამ შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ცალკეული აქტივობის შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. ამასთანვე თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული უნდა იყოს შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები ან ერთეულები, შესაბამისი რესურსები.

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი. აღნიშნული გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში (1.2) , სადაც მითითებული აქვს დოკუმენტის შემუშავების ვადები (12 თვე), დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და რესურსები.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება. ამისათვის, შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი.



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

იქიდან გამომდინარე რომ დაწესებულებას არ აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები, მათი შესრულების შედეგები ამ ეტაპზე ვერ იქნება ხელმისაწვდომი. დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული აქვს სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო აქტივობები (1.2), განსაზღვრული ჰყავს მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები (12 თვე).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



1. დანართი N 1.2.3 - ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ 2025 წლის 24 ივლისის N 122 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა“ ;
2. დანართი N 23 - ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ 2025 წლის 15 ივლისის N 120 ბრძანება - სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური ჯგუფის შექმნის შესახებ;
3. დანართი N 24 - სტრატეგიული განვითარებისა და მეთოდოლოგიის შემუშავების და დამტკიცების შესახებ მეთოდოლოგიური სხდომის ოქმი № 1
4. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (1. 2);
5. ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:			
1.2 სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2 კურიკულუმი ³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“;
2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“;

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

³ მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.



1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

სავალდებულო დანართებში (დანართი#4) წარმოდგენილია-

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის (პირველი და მეორე ნაწილი);
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ პირველი ნაწილი;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მეორე ნაწილი;
- ✓ აღმზრდელის სახელმძღვანელო-სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N118 „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ საბავშვო ბაღებისათვის კურიკულუმის დამტკიცების შესახებ; *კასპი; 23 ივნისი 2025წ.*

წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ კურიკულუმი, რომლითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ არის შერჩეული.

- ✓ დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის/ დეკლარირების ამსახველი დოკუმენტი: კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N85 - კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი და ბრძანება“.

მარეგულირებელი წესის, მუხლი 2. კურიკულუმის შერჩევა-ს თანახმად: კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;
- ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა;
- გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა;
- დ) კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება.

ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეტაპის განხორციელებისათვის, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი.

ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეტაპის განხორციელებისათვის, ამ მუხლით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება არსებული კურიკულუმების მოძიება და შერჩევა;



- ✓ დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი: კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის ბრძანება №90 „კურიკულუმის დამტკიცების პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ“ ; კასპი; 23 ივნისი 2025წ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია;

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“;

კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს. კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (პროგრამის ხარისხის სტანდარტი), რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა – ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია;



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“;

თამაში ამ კურიკულუმის განხორციელების უმთავრესი საშუალებაა. ბავშვზე ცენტრირებული მიდგომის შესაბამისად, ბავშვი მისი სწავლის ცენტრალური ფიგურაა, სადაც უფროსი მის ინტერესს მიჰყვება, ხელს უწყობს სწავლისა და განვითარების ბუნებრივ პროცესს და თავს არ ახვევს რა გააკეთოს. ეს მიდგომა ხელს უწყობს ბავშვების ცნობისმოყვარეობის, ინტერესის გაღვივებას, ზრდის მოტივაციას და სწავლის შინაგან სურვილს. სწავლა და განვითარება მრავალფეროვან სივრცეებში მონაწილეობით და ჩართულობით ხდება.

შემოქმედებითად და გააზრებულად მოწყობილი სივრცეები ხელს უწყობს თამაშით კვლევას, რომელიც ერთდროულად უსაფრთხოც არის და ზომიერ სირთულეებს და რისკსაც მოიცავს.

ზემოაღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ✓ ბავშვებს აქვთ თავისუფალი არჩევანი სასურველი აქტივობების შერჩევისას, თემის შერჩევისას დაცულია ბალანსი, ბავშვის მიერ და უფროსის მიერ შერჩეულ თემათა შორის. კურიკულუმის მიზანია, ბავშვებმა თავად მოიძიონ კონფლიქტის გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- ✓ სივრცე ნაწილობრივ არის დაყოფილი ცენტრებად, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სხვადასხვა ტიპის თამაშისთვის;



- ✓ თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმის ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“;

დაწესებულების მიერ შერჩეული „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის“ და „სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“- ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.



რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“;

ბავშვები ჩართული არიან სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, იძენენ სხვადასხვა ტიპის გამოცდილებებს, რაც უზრუნველყოფს ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები/საჭიროებები. ასევე გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“;

ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული აქვს „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი“- დანართი N5, ბრძანება N85 (კასპი; 23 ივნისი 2025წ.), სადაც მუხლი 3. კურიკულუმის გაზიარების თანახმად:

1. დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმ(ებ)ს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს.
2. ამ მუხლის მიზნებისთვის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ:
 - ა) მშობლები;
 - ბ) დაწესებულების პერსონალი;
 - გ) თემი/მუნიციპალიტეტი;
3. დაწესებულების კურიკულუმ(ებ)ის გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.

ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული აქვს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კასპის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025წლის 23 ივნისის N 87 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მეოთხე მუხლის თანახმად, დაწესებულების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია:

- ა) პირისპირ შეხვედრები;
- ბ) სატელეფონო ზარები;
- გ) სოციალური ქსელი.

დაწესებულებამ წარმოადგინა მშობლებთან და პერსონალთან კურიკულუმის გაზიარების პროცესის ამსახველი ფოტომასალა;



დაწესებულებამ წარმოადგინა სოციალური ქსელის ბმული <https://www.facebook.com/kaspis.meorebagabagi>, სადაც ატვირთულია საგანმანათლებლო პერსონალთან შეხვედრის დამადასტურებელი ფოტოები;

დაწესებულებამ წარმოადგინა მშობელთა შეხვედრის დასწრების ფურცელი:

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

დაწესებულებამ, გარდა ფოტომასალისა, შეიმუშაოს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს პირისპირ შეხვედრების დადასტურების მტკიცებულებები. მაგ: საგანმანათლებლო პერსონალთან შეხვედრის, მშობლებთან, თემთან და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეხვედრის ოქმი;

დაწესებულებამ მტკიცებულებების მეტი ვალიდაციისთვის, ყოველთვის დაათარილოს დოკუმენტაცია/ფოტო-მასალა;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი#4

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის (პირველი და მეორე ნაწილი);
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ პირველი ნაწილი;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მეორე ნაწილი;
- ✓ აღმზრდელის სახელმძღვანელო-სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“;



2. კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის N118 ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ საბავშვო ბაღებისათვის კურიკულუმის დამტკიცების შესახებ“ - დანართი N 4 ;
3. კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის N85 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ -დანართი N 5;
4. კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის ბრძანება N90 - „კურიკულუმის დამტკიცების პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ“ - დანართი N 21;
5. კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის N 87 ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ; დანართი #7 ;
6. კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის N 87 ბრძანება „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ დანართი N 7
7. დანართი N25 მშობლებთან და პერსონალთან კურიკულუმის გაზიარების ამსახველი ფოტომასალა

შეფასება:			
2.1 კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23. 06. №86 ბრძანებით.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად:

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომ - გეგმა/გეგმები).
2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის გრძელვადიანი და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმის მოთხოვნებს.
3. გრძელვადიანი გეგმა იქმნება კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი.

მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით და მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები;
- ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები;
- გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი;
- დ) სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა;
- ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა აღზრდელების მიერ წარმოებული მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმის ფორმები. დაწესებულების მიერ, მარეგულირებელი წესით განისაზღვრება, რომ შემუშავებულია გრძელვადიანი გეგმების ფორმები და დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით, თუმცა ვიზიტისას არ იქნა მტკიცებულებად წარმოდგენილი;

დაწესებულებამ ასევე ვერ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანება გრძელვადიანი გეგმების შექმნაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.



რეკომენდაცია

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პერიოდულობისა და ხანგრძლივობის განსაზღვრისთვის დაწესებულებამ განახორციელოს თანმიმდევრული სამუშაოები მისივე მარეგულირებელი წესის შესაბამისად. კერძოდ: შექმნას სამუშაო ჯგუფი, სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული გრძელვადიანი გეგმის ფორმები დაამტკიცოს უფლებამოსილი პირის ბრძანებით, მარეგულირებელი წესის შესაბამისად, დანერგოს აღნიშნული ფორმები პრაქტიკაში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება შექმნის სამუშაო ჯგუფს შერჩეული გრძელვადიანი გეგმის ფორმების დასამტკიცებლად. დაამტკიცებს გრძელვადიან გეგმებს და უზრუნველყოფს დამტკიცებული ფორმების დანერგვას პრაქტიკაში. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (ნთვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23. 06. №86 ბრძანებით.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, მესამე პუნქტის თანახმად: მოკლევადიანი გეგმა იქნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი.

ადგილზე ვიზიტისას, მეთოდისტთან და აღზრდელთან ინტერვიუდან ვიღებთ ინფორმაციას, რომ საგანმანათლებლო პროცესს გუნდი გეგმავს ერთად, ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე ადგილზე წარმოდგენილი მოკლევადიანი გეგმის ბადეში, ფიქსირდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პერსონალის ხელმოწერის ველი, თუმცა დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება გეგმების შედგენაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცებისა და გეგმების თანამონაწილეობით შედგენის პროცესის ამსახველი მასალა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს გეგმის/გეგმების თანამონაწილეობით შემუშავება მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო პერსონალის შემადგენლობით შექმნის და დაამტკიცებს სამუშაო ჯგუფს კურიკულუმის შესაბამისი მოკლევადიანი გეგმების შესამუშავებლად. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (6თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.



3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23. 06. №86 ბრძანებით.

მარეგულირებელი წესის თანახმად, დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი აწარმოებს შემდეგი ტიპის დოკუმენტაციას:

- ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიო;
- აღზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- დღის განრიგი;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
- რეფლექსური ჩანაწერები;
- ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები;
- ბავშვის შეფასების ჩანაწერები;

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც ვლინდება იმაში, რომ: დღის განრიგში გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დაცულია ბალანსი აღზრდელის მიერ ინიცირებულ და ბავშვის მიერ ინიცირებულ თამაშებს შორის, წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის, მცირე და დიდი ჯგუფის აქტივობებს შორის.

საგანმანათლებლო პერსონალის (მეთოდისტი, აღზრდელი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მუსიკის მასწავლებელი) პორტფოლიო მოიცავს მოკლევადიან გეგმებს, თუმცა არა არის წარმოდგენილი გრძელვადიანი გეგმა, რომელიც ასევე არ არის თანხვედრაში მარეგულირებელ წესთან. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები არ არის დამტკიცებული და შესაბამისად არ წარმოადგენს მარეგულირებელი დოკუმენტის დანართს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული ფორმები, რომელიც უნდა ასახავდეს ჯგუფის საჭიროებებს და ინტერესებს.



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული ფორმების შემუშავებას და დამტკიცებას: მოკლევადიანი, გრძელვადიანი გეგმები, ბავშვების შეფასების ფორმები. შემუშავებულ ფორმებში ასახული იქნება ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (ნთვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23. 06. №86 ბრძანებით.

მარეგულირებელი წესის თანახმად, დაწესებულებაში იწარმოება შემდეგი დოკუმენტაცია:

- ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიო;
- აღზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- დღის განრიგი;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
- რეფლექსური ჩანაწერები;

საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის, დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა.



დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ მეთოდებს:

- ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;
- ბ) მოკლე კითხვარები;
- გ) ჩექლისტები;
- დ) სკალები;
- ე) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები.

წესის თანახმად, შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის ბრძანებით. ადგილზე ვიზიტისას საგანმანათლებლო პერსონალმა (მეთოდისტი, აღმზრდელი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მუსიკის მასწავლებელი) წარმოადგინა დოკუმენტაცია, სადაც ასახულია ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებები, წარმოადგინეს დაკვირვების და შეფასების, რეფლექსური დღიურის ფორმები, თუმცა ვერ წარმოადგინეს ბრძანება რომლითაც აღნიშნული ფორმები დამტკიცდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული ფორმები, რომელიც უნდა ასახავდეს ჯგუფის საჭიროებებს/ინტერესებს და დამტკიცდეს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის მიერ ბრძანებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება შეიმუშავებს მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული ფორმებს, რომელშიც უზრუნველყოფს ჯგუფის საჭიროებებს/ინტერესების ასახვას. შემუშავებულ ფორმებს დაამტკიცებს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორი. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (ნთვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი



პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობად.

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება იმაში, რომ დღის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი ხორციელდება თამაშის სხვადასხვა ფორმით, საგანმანათლებლო მიზნები ინტეგრირებულია თამაშში ისე, რომ ბავშვები ვითარდებიან და სწავლობენ ბუნებრივ, სახალისო და მოტივირებულ გარემოში. ეს დასტურდება დღის განრიგით. ბავშვების სივრციდან სივრცეში გადასვლა, ტრანზიციები წარმართება თამაშის ელემენტებით: გამოიყენება სიმღერა, ცეკვა, გათვლები, თითებით თამაში.... ტრანზიცია წინასწარ პროგნოზირებულია საგანმანათლებლო პერსონალის მიერ და აღქმულია თამაშის გაგრძელებად და არა მკვეთრ გადართვად. ეს დასტურდება გარემოს ვიზუალური დათვალიერებით, მეთოდისტთან და აღმზრდელთან ინტერვიუს საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მეთოდისტთან, აღმზრდელთან ინტერვიუს და გარემოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად ჯგუფებში არსებული რესურსის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა. გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას იკვეთება, რომ ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ ეზოში თავისუფალი, თუმცა ნაკლებად ორგანიზებული თამაშების შესაძლებლობა. ბაღის ეზოში განლაგებულია - 1ც. ორადგილიანი საქანელა, ერთი მრავალფუნქციური სასრიალო, 2 აიწონა-დაიწონა 4 ბავშვისთვის, 3 ბალანსის ზამბარიანი ატრაქციონი და საბურავებში განთავსებული საქვიშე. ეზოს გარემო არ შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, დაწესებულება უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება, როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.. განსაზღვრულია შეუსაბამობის



აღმოფხვრის ვადა (24 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **ნაწილობრივ შესაბამისობად**.

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23. 06. №86 ბრძანებით.

მარეგულირებელი წესის, მუხლი 5. საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა-თანახმად:

1. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს;
2. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს.
4. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს;
5. საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას;
6. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის ბრძანებით;
7. დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულებამ წარმოადგინა, კასპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებზე, 2025 წელს გაცემული კონკრეტული რესურსების, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი და შესყიდვის მიღება-ჩაბარების აქტები;



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 15 ივლისი №119 ბრძანებით.

წესში - მუხლი 4. დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფის პარამეტრები- ს თანახმად: საგანმანათლებლო რესურსი განისაზღვრება დაწესებულებაში მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში/კურიკულუმის ჩარჩოში.


მტკიცებულებებში არ ფიქსირდება დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით.



დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23. 06. №86 ბრძანებით.

მარეგულირებელი წესის, მუხლი 6. საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება - ს თანახმად:

1. საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:



2. საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება ყოველწლიურად პერიოდული ინვენტარიზაციის გზით.
3. ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი.
4. ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმის გარდა, დაწესებულება ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს:
 - ა) მოგროვება;
 - ბ) დონაცია;
 - გ) დამზადება.



დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული, კურიკულუმის შესაბამისი, საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი: რა სახის და რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსის შეძენაა გათვალისწინებული ერთ ბავშვზე (სათამაშო, საკანცელარიო მასალა). რა პერიოდულობით, რა ფორმით უნდა მოხდეს, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო რესურსის განახლება/შესყიდვა. დაწესებულებამ წარმოადგინა საინვენტარიზაციო აღწერა, სადაც ყველა ტიპის/სახის ინვენტარი და მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი ერთად იყო აღრიცხული.

ადგილზე ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებაში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ბუნებრივი და მეორადი მასალა. საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ისინი ამ რესურსს მშობელთა ჩართულობით აგროვებენ, აღნიშნული არ დასტურდება მტკიცებულებით. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, რომელიც განსაზღვრული იქნება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. დაწესებულებამ ასევე ვერ წარმოადგინა, მარეგულირებელ წესში ასახული საგანმანათლებლო რესურსებისთვის განკუთვნილი, თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შექმნას საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხა კურიკულუმის შესაბამისად და უზრუნველყოს მისი შეძენა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

რჩევა

ინვენტარიზაციის ნუსხა სორტირებული იყოს სახეობათა და მიხედვით;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, დაწესებულება შეუმუშავებს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხას კურიკულუმის მიზნების შესაბამისად და უზრუნველყოფს მის შეძენას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (12 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23. 06. №86 ბრძანებით. მარეგულირებელი წესის, მუხლი 7. გარემოს ფიზიკური მოწყობა-ს თანახმად:

1. დაწესებულების ფიზიკური გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს.
2. კურიკულუმის განხორციელების პროცესში, ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება:
 - ა) ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე;
 - ბ) ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე;
 - გ) ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე;
 - დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად.
3. დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბარწილად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

დაწესებულებაში, ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (ჯგუფური ოთახების, შიდა და გარე სივრცის) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფის ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, ჯგუფების ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული, სამაგიდო, კუბურები, სენსორული, წიგნიერების, განმარტოების, ხელოვნების), შესაძლებელია მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებად. ჯგუფის ოთახში ბავშვის სიმაღლის გათვალისწინებით კედელზე მოთავსებულია ვიზუალური დღის განრიგი. ცენტრებს არ აქვთ ვიზუალური მინიშნებები, თუმცა ვინაიდან ვიზიტი განხორციელდა სააღმზრდელო წლის დაწყებამდე, საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ პროცესის დაწყებამდე აუცილებლად დამზადდება ვიზუალური მინიშნებები როგორც შიდა, ისე გარე სივრცეებში. ჯგუფის ოთახში განთავსებული ცენტრები, ხშირ შემთხვევაში მკაფიოდ გამოყოფილია ერთმანეთისგან (სამი მხრიდან), თუმცა გამყოფი თაროები/კარადები უსაფრთხოების თვალსაზრისით საჭიროებს მყარად მიმაგრებას. ჯგუფის ოთახებში კედელზე ვიზუალური მასალის (ჯგუფის წესები, ნახატები) განთავსებისას, ხშირ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული ბავშვის სიმაღლე (მაღლა არის განთავსებული);



რესურსების უმრავლესობა (ქარხნული, მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი) განლაგებულია ბავშვის სიმაღლის ღია კარადებში, ნაწილი კი მოთავსებული გამჭვირვალე კონტეინერებში, რომლებსაც არ აქვს ვიზუალური/ტაქტილური მინიშნებები ან ქარხნული წესით დატანილი მასალის შესაბამისი ვიზუალური ნიშანი; ჯგუფებში წარმოდგენილა სივრცე ბავშვების ნამუშევრებისთვის, რომელსაც თავად ბავშვები იყენებენ.

ჯგუფის ოთახების შესასვლელებში განთავსებულია საინფორმაციო დაფა მშობლებისათვის; დაწესებულებაში არის მეთოდისტის, ფსიქოლოგის და ლოგოპედის ოთახები.

ბაღს აქვს დარბაზი სადაც ტარდება მუსიკალური აქტივობები (დგას მუსიკალური ინსტრუმენტი-პიანინო და სკამები), ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სივრცე გამოიყენება ფიზიკური აქტივობებისათვის, თუმცა არ არის განთავსებული სპორტული ინვენტარი. გარე სივრცეში/ეზოში შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკური აქტივობების განხორციელება. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა არ არის კურიკულუმის შესაბამისი: არ აქვთ სივრცე სენსორული, დრამატული თამაშებისათვის, საჩრდილობელი/შენობა/კარავი, მაგიდა, უსაფრთხო ადგილას განთავსებული სკამები, ბოსტანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა და გარე სივრცეში, ვიზუალური მინიშნებების განთავსება; ჯგუფურ ოთახებში, ვიზუალური მასალა კედელზე განთავსდეს ბავშვის სიმაღლის გათვალისწინებით. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ჯგუფურ ოთახებში გამყოფი თაროები მყარად დამაგრდეს. დაწესებულებამ უზრუნველყოს, გარე სივრცის(ეზოს) მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით.

რჩევა

მნიშვნელოვანია დაწესებულების შიდა და გარე სივრცე ითვალისწინებდეს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, რაც ითვალისწინებს, რომ გარემო თანაბრად ხელმისაწვდომია სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, გარემოში მრავალფეროვანი სივრცეების მოწყობა და მრავალფეროვანი მასალით მომარაგება უზრუნველყოფს ბავშვის მონაწილეობას მათი ინტერესების და განსხვავებული შესაძლებლობების მიუხედავად. გარემო მარტივად აღქმადია და მინიმუმამდეა დაყვანილი შემთხვევითი ან გაუთვალისწინებელი შემთხვევები-რაც გულისხმობს შემდეგი დეტალების გათვალისწინებას: ჯგუფის ოთახში განთავსებული ცენტრები მკაფიოდ იყოს გამოყოფილი ერთმანეთისგან (სამი მხრიდან) და ცენტრებს ჰქონდეს ვიზუალური მიმანიშნებლები. ჯგუფის ოთახებში კედელზე ვიზუალური მასალის (ჯგუფის წესები, ნახატები) განთავსებისას, გათვალისწინებული იყოს ბავშვის სიმაღლე; გარე სივრცე დაყოფილი იყოს სათამაშო სივრცეებად- დრამატული სივრცე, მოძრავი თამაშების სივრცე, ბოსტანი ან ბაღი, სენსორული, განთავსებული იყოს მაგიდა/ები, სკამები, გადახურული შენობა, სადაც ბავშვებს დიდ და მცირე ჯგუფებში თამაშის შესაძლებლობა ექნებათ.



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია, რომ დაწესებულება ბალის შიდა და გარე სივრცეში განათავსებს ვიზუალურ მინიშნებებს; ჯგუფურ ოთახებში, ვიზუალური მასალა კედელზე განთავსდება ბავშვის სიმაღლის გათვალისწინებით. ჯგუფურ ოთახებში გამყოფი თაროები დამაგრდება მყარად. დაწესებულება უზრუნველყოფს ეზოს მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად, უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (12 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახურობდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად: ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მზა და მეორადი რესურსით, რომლებიც თემატურად არის ცენტრებში ორგანიზებული/განაწილებული. რესურსი უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ღია და ბავშვების სიმაღლეზე.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი, არ გამოდგება სხვადასხვა ტიპის თამაშების განხორციელებისათვის; ეზო არ არის აღჭურვილი ისეთი რესურსით, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.



რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს გარე სივრცეში რესურსების ორგანიზება, კურიკულუმის შესაბამისად და რესურსები ხელმისაწვდომი იყოს ბავშვთა ინდივიდუალიზაციის გათვალისწინებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია, დაწესებულება უზრუნველყოფს რომ გარე სივრცეში ხელმისაწვდომი იყოს კურიკულუმის შესაბამისი რესურსები: სენსომოტორული უნარების განმავითარებელი, თავისუფალი თამაშობებისთვის, შემოქმედებითი აქტივობებისთვის და ა.შ. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (12 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება **მეტწილ შესაბამისობად**.

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახი მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის: ოთახი დაყოფილია ცენტრებად. ჯგუფურ ოთახებში წარმოდგენილია პრივატული ზონები, „წყნარი სივრცეები“ - გამოყოფილი ფარდით, სადაც ბავშვებს აქვთ განმარტოების საშუალება. ჯგუფური ოთახები იძლევა შესაძლებლობას დაიგეგმოს და განხორციელდეს აქტივობები, როგორც მცირე, ისე დიდ ჯგუფებთან. ჯგუფურ ოთახებში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები და სკამები, რომლებიც საშუალებას იძლევა, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური აქტივობების დაგეგმვის შესაძლებლობას;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23. 06. №86 ბრძანებით.

მარეგულირებელი წესის, მუხლი 8. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები - ს თანახმად:

1. საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის, დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა.
2. დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ მეთოდებს:
 - ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;
 - ბ) მოკლე კითხვარები;
 - გ) ჩექლისტები;
 - დ) სკალები;
 - ე) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები.



3. შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის ბრძანებით .
4. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრულობისთვის დაწესებულება მოქმედებს ამ მუხლის მე-5 და მე-5 პუნქტებით დადგენილი სისტემით.
5. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:
 - ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;
 - ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;
 - გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.
6. ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი;
7. ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით.
8. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია;
9. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ
10. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:
 - ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
 - ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
 - დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
 - ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

დაწესებულებაში ვიზიტისას, საგანმანათლებლო პერსონალმა წარმოადგინა ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები, თუმცა წესის შესაბამისად განსაზღვრული, კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმები არ იქნა მტკიცებულებად წარმოდგენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია



დაწესებულების მხრიდან ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების წარმოება უნდა მოხდეს მარეგულირებელ წესში გათვალისწინებული მეთოდოლოგიის მიხედვით. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები დამტკიცებულ იქნას, კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის ბრძანებით;

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მოცემულია, რომ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის ბრძანებით დამტკიცდება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (6 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23. 06. №86 ბრძანებით.

მარეგულირებელი წესის, მუხლი 8. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები მეხუთე პუნქტის თანახმად:

- დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:
 - ბავშვის ინტერესების გამოვლენას;
 - ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;
 - ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.
- ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი;



3. ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით.
4. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია;

ადგილზე ვიზიტისას, მეთოდისტთან და აღმზრდელთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს: ჩანაწერების გაკეთება, მოკლე კითხვარების ჩეკლისტები, ცხრილები, პორტფოლიოს წარმოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23. 06. №86 ბრძანებით.

მარეგულირებელი წესის თანახმად:

ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ

1. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:



- ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
- ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებას დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23. 06. №86 ბრძანებით.

მარეგულირებელი წესის, მუხლი 9. ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა - ს თანახმად:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.
2. ბავშვის შეფასების შედეგები განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

ადგილზე ვიზიტისას მეთოდისტთან და აღმზრდელთან გასაუბრებისას, ასევე მტკიცებულებად წარმოდგენილი ფოტო მასალით გამოვლინდა , რომ ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გაცნობის მიზნით, საგანმანათლებლო პერსონალი გარკვეული



პერიოდულობით ინდივიდუალურად ხვდებიან მშობლებს. აცნობენ მიღწეულ შედეგებს, ხელს უწყობენ მშობელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23 ივნისის N86 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“;
2. აღმზრდელის პორტფოლიოები (დღის განრიგი, კურიკულუმის შესაბამისი გეგმის ფორმები, რეფლექსური ჩანაწერები);
3. ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია;
4. წიგნების აღრიცხვის ჟურნალი;
5. ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 15 ივლისის N119 ბრძანება „ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ;
6. მიღება/ჩაბარების აქტები;
7. ფოტომასალა:



შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N85 - კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი და ბრძანება“; დანართი #5; კასპი; 23 ივნისი 2025წ.

მუხლი 4. კურიკულუმის შეფასება და განვითარება - ს თანახმად:

1. კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად იწერება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები.
2. კურიკულუმის შეფასება ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ.
3. კურიკულუმის შეფასებისთვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმის შეფასებას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.
4. კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება:
 - ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას;
 - ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას;



- გ) მშობლების უკუკავშირს;
- დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას;
- 5. საგანმანათლებლო პროცესის შეფასება გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა მახასიათებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ამ ინფორმაციის ანალიზს იმის დასადგენად, თუ რამდენად უწყობს ხელს პროცესის სხვადასხვა კომპონენტები კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
- 6. საგანმანათლებლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენება:
 - ა) საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების ჯგუფზე დაკვირვების შედეგების ანალიზი;
 - ბ) ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი;
 - გ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია;
 - დ) მშობლების უკუკავშირი;
 - ე) განხორციელებული აქტივობების ანალიზი;
 - ვ) რუტინებისა და ტრანზიციების ანალიზი;
 - ზ) გეგმებისა და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობის ანალიზი;
 - ვ) საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების ჩართულობის ხარისხის ანალიზი;
 - ზ) გამოყენებული მითითებებისა და სტრატეგიების ანალიზი;
- 7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შეფასებისათვის დაწესებულებას შექმნილი აქვს/იყენებს მზა სახის ცხრილებს/ კითხვარებს/ დაკვირვების ჩანაწერებს/ პორტფოლიოებს და სხვ.
- 8. ფიზიკური გარემოს შეფასება გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას იმის შესახებ, თუ რამდენად უწყობს ხელს ფიზიკური გარემო და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის მიზნების მიღწევას.
- 9. ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის ხორციელდება:
 - ა) ჯგუფური ოთახების/დაწესებულების შიდა სივრცის მოწყობა/გამოყენების ანალიზი;
 - ბ) ეზოს/გარე სივრცის მოწყობა/გამოყენების ანალიზი.
- 10. ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის გამოიყენება:
 - ა) საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ჯგუფზე დაკვირვების შედეგების ანალიზი;
 - ბ) ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი;
 - გ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია;
 - დ) მშობლების უკუკავშირი;



11. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს მზა სახის შეფასების ინსტრუმენტს/ცხრილებს/რუბრიკებს.
12. მშობლებისგან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება:
 - ა) კითხვარები;
 - ბ) ღია შეხვედრები/დისტანციური შეხვედრები;
 - გ) სოციალური მედიის პლატფორმები;
 - დ) შენიშვნის/წინადადების ყუთი;
 - ე) ყოველწლიური თვითშეფასების შედეგები;
13. საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიების ანალიზისთვის გამოიყენება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ წლის განმავლობაში გაკეთებული თვითრეფლექსიები.

ამ ეტაპზე ჯერ არ დამდგარა შესაბამისი ვადები, შესაბამისად ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N85 - კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი და ბრძანება“; დანართი #5; კასპი; 23 ივნისი 2025წ.

მუხლი 5. კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება -- ს თანახმად:



1. კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები.
2. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი.
3. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს:
 - ა) თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილებას;
 - ბ) კურიკულუმის მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას;
 - გ) ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტის შეტანას;
 - გ) საგანმანათლებლო რესურსის შეცვლას/გამრავალფეროვნებას;
 - დ) ფიზიკური გარემოს გადაწყობა /გამრავალფეროვნებას;
 - ე) ცვლილებებს ბავშვების მახასიათებლების გათვალისწინების მიდგომებში;
 - ვ) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობის შეცვლას;
 - ზ) ცვლილებებს დროით გარემოში (დღის განრიგში);
 - ი) ცვლილებები ოჯახის და თემის ჩართულობის ნაწილში;
 - კ) კურიკულუმის გაზიარების მექანიზმის სრულყოფას;
4. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შედის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.
5. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს:
 - ა) კურიკულუმის შეცვლას;
 - ბ) შექმნილ კურიკულუმში ახალი კურიკულუმ(ებ)ის დამატებას/ ან ამოღებას .
6. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შედის შემდეგი ეტაპების დაცვით:
 - ა) ამ წესით დადგენილი ეტაპების დაცვით ახალი კურიკულუმი შერჩევა/კურიკულუმის ახალი ჩარჩოს შექმნა;
 - ბ) ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესის პროგრამის დამატების გავლა.

ამ ეტაპზე კურიკულუმში ცვლილებების შეტანის გამოცდილება არ არსებობს, რადგან არ დამდგარა საჭიროება;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის N 85 ბრძანება „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ - დანართი #5;
2. კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის ბრძანება N118 „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ საბავშვო ბაღებისათვის კურიკულუმის დამტკიცების შესახებ“;
3. ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების #4 საბავშვო ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

შეფასება:

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
---	---	---	---



3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რომელიც დამტკიცებულია საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის №87 ბრძანებით, სადაც მუხლი 5. საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა და პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა-ს თანახმად:

1. საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვისათვის კასპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება იყენებს დანართი №1-ით განსაზღვრულ ცხრილს. ამავე ცხრილში განისაზღვრება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული.
2. არაგეგმიური აქტივობები ტარდება საჭიროებიდან გამომდინარე და მისი ასახვა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ცხრილში არ ხორციელდება.

თუმცა, დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს შემუშავებული საკომუნიკაციო გეგმა, შეტანილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 3.1 და შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 12 თვე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 87 -არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის „კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ, ასევე წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, დამტკიცებული საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის №87 ბრძანებით.

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში, არ არის გათვალისწინებული თემის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის წახალისების ფორმები. თუნცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს შემუშავებული საკომუნიკაციო გეგმა, შეტანილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 3.1 და შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 12 თვე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 87 -არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის „კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ, ასევე წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, დამტკიცებული საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის №87 ბრძანებით, სადაც მუხლი 4. საკომუნიკაციო არხების შერჩევა - ს თანახმად:

1. საკომუნიკაციო არხების შერჩევის პროცესში კასპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება ხელმძღვანელობს მისი გეოგრაფიული მდებარეობის, ადმინისტრაციული ერთეულების, სოციალური ჩვევებისა და საბავშვო ბაღების გამგეების შესაძლებლობებიდან გამომდინარე.
საკომუნიკაციო არხების შერჩევისას კასპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:
 - ა) სამიზნე აუდიტორიის საჭიროებები;
 - ბ) რესურსების (მათ შორის ფინანსური) ხელმისაწვდომობა;
 - გ) კომუნიკაციის შინაარსი და სიხშირე;
 - დ) უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა;
 - ე) კონფიდენციალურობის დაცვის შესაძლებლობა (საჭიროების შემთხვევაში);
2. დაწესებულების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია:
 - ა) პირისპირ შეხვედრები;
 - ბ) სატელეფონო ზარები;
 - გ) სოციალური ქსელი.

თუმცა დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს შემუშავებული საკომუნიკაციო გეგმა, შეტანილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 3.1 და შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 12 თვე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.



რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის N 87 ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ; დანართი #7 ;
- ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების #4 საბავშვო ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას



1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 87 -არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის „კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობას ბაღის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში.

ორგანიზაციაში ვიზიტისას, ინტერვიუს საფუძველზე, ფოტომასალით დგინდება, რომ ორგანიზაციაში არსებობს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრის არაფორმალური პრაქტიკა, თუმცა დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს შემუშავებული საკომუნიკაციო გეგმა, შეტანილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 3.1 და შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 12 თვე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23. 06. №86 ბრძანებით „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ სადაც - მუხლი 9. ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა-ს მიხედვით:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.
2. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

ადგილზე ვიზიტისას მეთოდისტთან და აღმზრდელთან გასაუბრებისას, ასევე მტკიცებულებად წარმოდგენილი ფოტო მასალით გამოვლინდა, რომ ბავშვის შეფასების შედეგების გაცნობის მიზნით, საგანმანათლებლო პერსონალი გარკვეული პერიოდულობით ინდივიდუალურად ხვდებიან მშობლებს. აცნობენ მიღწეულ შედეგებს, ხელს უწყობენ მშობელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 87 -არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის „კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ, ასევე წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, დამტკიცებული საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის №87 ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობას ბაღის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში.

თუმცა, დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს შემუშავებული საკომუნიკაციო გეგმა, შეტანილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 3.1 და შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 12 თვე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, დამტკიცებული საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის №87 ბრძანებით.

მუხლი 6. განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა - ს თანახმად:

1. კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, კასპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება იყენებს უკუკავშირის შემდეგ ალტერნატივებს:
 - ა) კითხვარები;
 - ბ) შენიშვნების ყუთი;
 - გ) ღია შეხვედრები;
 - დ) სატელეფონო კავშირები.

თუმცა დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს შემუშავებული საკომუნიკაციო გეგმა, შეტანილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 3.1 და შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 12 თვე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის N 87 ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ; დანართი #7 ;
- ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების #4 საბავშვო ზაგა-ბადის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს კასპის N 2 ბაღის ორგანოგრამა (დანართი N 8) სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები. დაწესებულებამ ადგილზე წარმოადგინა საშტატო ნუსხა დასაქმების პოზიციების მითითებით. საშტატო ნუსხაში წარმოდგენილი პერსონალი რაოდენობრივად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. რაც შეეხება თანამშრომელთა ფუნქციებს, ეს გაწერილია დაწესებულების შინაგანაწესში (დანართი N 10 დამტკიცებულია ბრძანებით N 107 02.07.2025 წ). შესაბამისად, დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს პერსონალს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება მათი სამსახურეობრივი პოზიციებიდან გამომდინარე. ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა რომ დაწესებულებაში პერსონალის შერჩევისას გათვალისწინებულია ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდებას და ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის, შესაბამისად მუდმივი შტატით დასაქმებული ჰყავთ ფიქოლოგი და ლოგოპედი.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით სავალდებულოდ დადგენილია, რომ საჯარო სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებას უნდა ჰყავდეს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც იქნება 7 წევრი (5 მშობელი და 2 აღმზრდელ-პედაგოგი), დაწესებულებას არ ჰყავს საკონსულტაციო საბჭო. რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირად გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ ბრძანებით განსაზღვრულია საბავშვო ბაღის გამგე (დანართი N 33 - ბრძანება N 117 15.07.2025 წელი).

დაწესებულების შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (დამტკიცებული ვერსია წარმოადგენს ადგილზე , ბრძანება N105 02.07.2025წ) . პერსონალის მართვის დოკუმენტში მითითებულია დანართი N1, რომელიც უნდა მოიცავდეს დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციის სამუშაო აღწერილობას. დოკუმენტში გაწერილი უნდა იყოს: პოზიციის დასახელება, ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ანგარიშვალდებულება და ვინ ითავსებს ფუნქციას არ ყოფნის პერიოდში და სხვ. აღნიშნული დოკუმენტი დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. (აღნიშნული ინფორმაცია არაა გაწერილი არც დაწესებულების შინაგანაწესში , წარმოდგენილია მხოლოდ ფუნქცია-მოვალეობები.)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს რომ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დანართში პოზიციის დასახელებასთან ერთად გაწეროს პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ანგარიშვალდებულება და ვინ ითავსებს ფუნქციას არ ყოფნის პერიოდში.



“ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ჩამოაყალიბოს საკონსულტაციო საბჭო, კანონით განსაზღვრული შემადგენლობით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება შეიმუშავებს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დანართს, სადაც აღწერილი იქნება თითოეული სამუშაო პოზიციის ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ანგარიშვალდებულება და ვინ ითავსებს ფუნქციას არყოფნის პერიოდში. ასევე მითითებულია, რომ დაწესებულება შექმნის საკონსულტაციო საბჭოს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემადგენლობით. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (6 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოადგენილი აქვს ორგანოგრამა (დანართი N 8), შინაგანაწესი (დანართი N 10) და “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი” (წარმოადგენს ადგილზე ვიზიტისას). შინაგანაწესში გაწერილია სტრუქტურული ერთეულების დასახელება, შესასრულებელი დავალებების (ფუნქციების) ჩამონათვალი, თუმცა არ არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღსანიშნავია ისიც, რომ შინაგანაწესში ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულების ნუსხა არ ემთხვევა ორგანოგრამაში გაწერილი სტრუქტურული ერთეულების ნუსხას. კერძოდ, შინაგანაწესში არაა გაწერილი დამლაგებლის, ძიძის და დარაჯის ფუნქცია-მოვალეობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია



ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ შინაგანაწესში სრულად გაწეროს სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები და ის ემთხვეოდეს ორგანოგრამაში წარმოდგენილ სტრუქტურულ ერთეულებს. ასევე, სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალთან ერთად გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება შინაგანაწესში გაწერს ყველა ტიპის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს. უზრუნველყოფს, რომ ის შეესაბამებოდეს ორგანოგრამაში წარმოდგენილ სტრუქტურულ ერთეულებს. ამასთანავე, გაიწერება სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (6 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელის და აღმზრდელ-პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 17 ოქტომბრის N478 დადგენილებით. შესაბამისად, ამ პოზიციაზე დასაქმებული პირი უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულებაში დასაქმებული აღმზრდელების კვალიფიკაცია შეესაბამება აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს (ყველა მათგანს გავლილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული), რაც შეეხება დირექტორის და სხვა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ შეიმუშავენ მუნიციპალიტეტი და თავად შეუძლიათ განსაზღვრონ მათი კვალიფიკაცია შესაბამისი ნორმატიული აქტით. თუმცა, დაწესებულება არ ფლობს დოკუმენტს, სადაც გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები შესაბამისობაში არ არის.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს და უზრუნველყოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, დაწესებულებას ჰქონდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პერსონალის შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელიც განთავსებული იქნება პერსონალის პირად საქმეში.

.....

.....

რჩევა

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაძლებელია შემუშავდეს ცალკე დოკუმენტად. ასევე, დასაშვებია ინტეგრირდეს შინაგანაწესში გაწერილ სამუშაო აღწერილობებში ან პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება შეიმუშავებს და დაამტკიცებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთანავე, დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ პერსონალის პირად საქმეში განთავსებული იყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მოთხოვნები. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (6 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს არ აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში (4.1) გაწერილი აქვს ამ მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება. ბავშვებთან უშუალო შეხებაში მყოფ პერსონალს (აღმზრდელს, აღმზრდელის თანაშემწეს და ძიძას) უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და უნარები. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის გადამზადება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის კუთხით.



რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ საგანმანათლებლო პესონალის თითოეული წევრისთვის ყოველწლიურად ხდებოდა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის შესაბამისი გადამზადება/ტრენინგი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ თვითშეფასების ფორმის დანართად წარმოადგინა კასპის სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებების შრომითი შინაგანაწესი (დანართი N10), რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ კასპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 2 ივლისის N107 ბრძანებით. დაწესებულებამ ადგილზე წარმოადგინა პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ და შესაბამისია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან (ბრძანება №105 02.07.2025 წ) .

პერსონალის მართვა ხორციელდება პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული წესის მიხედვით. დოკუმენტში გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების დაგეგმვის, კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა/შერჩევის, პერსონალის შეფასების, პერსონალის განვითარების და საკადრო დოკუმენტაციის წარმოების მექანიზმები. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები რეგულირდება შინაგანაწესითაც (მაგ: წახალისების სახე, პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის);

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება წარმოადგენს გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულს. შესაბამისად, პერსონალთან ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს გაერთიანების ხელმძღვანელს. საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და შესაბამისად არც ამ დროს განხორციელებული საქმიანობების ჩამონათვალს. ხელშეკრულება ასევე არ მოიცავს ანაზღაურების გადახდის წესს და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ადგილზე წარმოდგენილი ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 2025 წლის 01 იანვრიდან 2025 წლის 01 თებერვლამდე, 2025 წლის 01 თებერვლიდან 2025 წლის 01 მარტამდე და 2025 წლის 01 მარტიდან 2025 წლის 01 ნოემბრამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაში არ არის.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა მიუთითოს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და ანაზღაურების გადახდის წესი. საგანმანათლებლო პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებაში უნდა გაითვალისწინოს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და შესაბამისად, ამ დროს განხორციელებული საქმიანობების ჩამონათვალი.

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ შრომითი ურთიერთობები გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული გახადოს.

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, დაწესებულება შეიტანს ცვლილებებს პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, სადაც მითითებული იქნება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და ანაზღაურების გადახდის წესი. საგანმანათლებლო პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და შესაბამისად, ამ დროს განხორციელებული საქმიანობების ჩამონათვალი. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (6 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით” (დამტკიცებულია გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის N 105 ბრძანებით), სადაც გაწერილია პერსონალის შერჩევის (პირადპირი დანიშვნა ან კონკურსი) მექანიზმები. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დადგენილი პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას, პროცესის ობიექტურობას და გამჭვირვალობას. გაერთიანების ხელმძღვანელთან და გაერთიანების მთავარ სპეციალისტთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ მექანიზმი ახალი შემუშავებულია და ჯერჯერობით ახალი კადრის აყვანა ამ გზით არ მომხდარა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. აღნიშნული მექანიზმი გაწერილია “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი” (დამტკიცებულია გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის N 105 ბრძანებით) , სადაც განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის საფეხურები: სამუშაო გარემოს გაცნობა, თანამშრომლების და ხელმძღვანელის გაცნობა, ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, საჭირო რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა, მენტორინგის სისტემის არსებობა და ა.შ.

დაწესებულების ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმი ახალი შემუშავებულია და ახალი კადრის სამუშაო გარემოსთან ადაპტაცია ამ მექანიზმით ჯერ არ მომხდარა. თუმცა, დაწესებულებას გააჩნდა ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკა: თანამშრომლის დასაქმებამდე და მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, მას ეძლეოდა საშუალება დაკვირვებოდა იგივე პოზიციაზე მყოფი სხვა თანამშრომლის მუშაობას იმავე, ან სხვა ბაღში; ადგილზე გაცნობოდა შესასრულებელ სამუშაოს და საშუალება ჰქონდა გაცნობოდა დაწესებულების შინაგანწესსაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობასა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულებაში ნებისმიერი მნიშვნელოვანი პროცესი მიმდინარეობს გუნდურად, რაც უზრუნველყოფს სამუშაოს ეფექტიანად შესრულებას. საბავშვო ბაღის თანამშრომლები (მეთოდისტები და ფსიქოლოგები) გაერთიანების ადმინისტრაციასთან და ბაღის გამგესთან ერთად იყვნიან ჩართულები „მისია, ხედვა და ღირებულებების“ შემუშავების პროცესში (მისია, ხედვა და ღირებულებების სამუშაო ჯგუფი შექმნის შესახებ დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 ივნისის ბრძანება № 93, დანართი N 22); შესაბამისად, იზიარებენ დაწესებულების მისიას და ყველა მათგანი ორიენტირებულია ბავშვებისთვის უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის ამსახველი დოკუმენტი - „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ (დანართი N 5 - დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის N 85 ბრძანებით). ამ დოკუმენტის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეტაპის განხორციელებისთვის, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის N 90 ბრძანებით (დანართი N 21) განსაზღვრულია კურიკულუმის შერჩევა/დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი , რაც ექსპერტებს აძლევს ვარაუდის საშუალებას , რომ კურიკულუმის შერჩევა, დამტკიცება და გაზიარება მოხდა თანამშრომლებს შორის გუნდური მუშაობის პრინციპით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე



1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას “პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში” გაწერილი აქვს პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით მათი საქმიანობის შეფასების და საჭიროებათა მოკვლევის მექანიზმი. დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას მათი უნარების, შესრულებული სამუშაოს ხარისხის, თანამშრომლების მხრიდან აღიარების და მოტივაციის კუთხით. შეფასების პროცედურები ასევე მოიცავს ხელმძღვანელ პირთან გასაუბრებას, დაკვირვებას, შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას. თანამშრომელთა შეფასების შედეგები დაწესებულებას საშუალებას აძლევს გამოავლინოს თანამშრომელთა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და დაგეგმოს პერსონალის შემდგომი მიზნობრივი განვითარება. დაწესებულებას თვითშეფასებაში აღწერილი აქვს აღნიშნული მექანიზმი, თუმცა მითითებული აქვს, რომ შეფასების პროცესი ჯერ არ განუხორციელებიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები შესაბამისობაშია. .

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა. აღნიშნული გეგმის შემუშავება გაწერილი აქვთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში (4.1), მითითებული აქვთ პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები (24 თვე) და საჭირო ადამიანური რესურსი.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხელმძღვანელ პირებთან და აღმზრდელებთან ინტერვიუში გაირკვა, რომ მიუხედავად პროფესიული განვითარების გეგმის არქონისა, დაწესებულებაში მაინც ხდება პერსონალის ჩართვა სხვადასხვა ტრენინგებსა და გადამზადებებში. აღმზრდელებს გავლილი აქვთ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული. ასევე, გავლილი აქვთ უფასო ტრენინგები სკოლამდელი განათლების შესახებ.

თანამშრომლებს გავლილი აქვთ კონსულტაცია საგანგებო სიტუაციების მართვის სპეციალისტთან საგანგებო სიტუაციების ორგანიზების საკითხებთან დაკავშირებით (დანართი N 32).

შესაბამის პერსონალს (ექთნებს, მზარეულებს) გავლილი აქვთ საფრთხის ანალიზის და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) დანერგვის ტრენინგები.

ტრენინგებსა და გადამზადებებში პერსონალის მონაწილეობა დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით და განთავსებულია თანამშრომელთა პირად საქმეებში.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ტრენინგებისა, ეს ვერ ჩაითვლება პერსონალის განვითარებაზე ზრუნვის სრულფასოვან პროცესად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებაში არ არსებობს წინასწარ შემუშავებული პროფესიული განვითარების გეგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება. ამისათვის დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა ცალკე დოკუმენტის სახით, ან გაწეროს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. გაითვალისწინოს ის, რომ გეგმა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ბიუჯეტით.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ გარდა საკუთარი ბიუჯეტით დაფინანსებისა, უფლება აქვს მოიძიოს დონორი ან ჩაერთოს ისეთ პროგრამაში, სადაც მისი თანამშრომლები უფასოდ შეძლებენ გადამზადებას (უფასო პროგრამაში ჩართვის და გადამზადების გამოცდილება დაწესებულებას გააჩნია კასპის პროფესიული კოლეჯთან);

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, რაც დასტურდება თანამშრომელთა პირად საქმეებში არსებული სერტიფიკატებით, რომლებიც უშუალო კავშირშია მათი პროფესიული უნარების გაუმჯობესებასთან. დაწესებულების ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ პერიოდულად აქვთ შემოთავაზება საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, რომლებიც ძირითადად უსასყიდლოდ უტარებენ სხვადასხვა ტრენინგებს/გადამზადებებს, რაც ეხმარება მათ პროფესიული კუთხით განვითარებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (გავეცანით ადგილზე) (დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის N105 ბრძანებით);
2. დანართი N 22 - კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 ივნისის ბრძანება N 93 „მისია, ხედვა და ღირებულებების სამუშაო ჯგუფი შექმნის შესახებ“ ;



3. დანართი N 10 - დაწესებულების შინაგანაწესი (დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის N107 ბრძანებით);
4. დანართი N 32 - სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N 107/07 23.07.2025 წ ;
5. შრომითი ხელშეკრულებები (გავეცანით ადგილზე);
6. პერსონალის პირადი საქმეები (გავეცანით ადგილზე);
7. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული მასალები, სერთიფიკატები (გავეცანით ადგილზე);
8. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (4.1);
9. დანართი N 5 - „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის N 85 ბრძანებით);
10. დანართი N 21 - ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ 2025 წლის 23 ივნისის N 90 ბრძანება- საბავშვო ბაღებისთვის კურიკულუმის დამტკიცების პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ;
11. ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	---	--	---



4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს აქვს შემუშავებული და დამტკიცებული “პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი”, თუმცა როგორც თვითშეფასებაში აქვთ მითითებული, მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტის შემუშავებაზე და შესაბამისად უკვე იდენტიფიცირებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში (4.2) , განსაზღვრული ჰყავთ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები (12 თვე) და საჭირო ადმინისტრაციული რესურსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება. ამისათვის დაწესებულებამ შეიმუშავოს “პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი” , სადაც გაწერილი იქნება მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

რჩევა

სასურველია, რომ დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნებოდეს პროცესულ მიდგომას, რაც გულისხმობს დაწესებულების ისეთ ფუნქციონირებას, რომლის დროსაც ის ახდენს მის მიერ განსაზღვრულ საჭიროებებს, განსაზღვრავს კონკრეტულ ნაბიჯებს, ეტაპებსა და ქმედებებს, რომელთა თანმიმდევრული შესრულება მთლიანი საქმიანობის სათანადოდ განხორციელებას უზრუნველყოფს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისობის დოკუმენტი. ამ ეტაპზე არ აქვთ შემუშავებული “პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი”, თუმცა, გაწერილი აქვთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში (4.2) , განსაზღვრული აქვთ შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესრულებისთვის საჭირო რესურსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება. უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოადგენილი აქვს “ა(ა)ის კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის წესი” (დანართი N 11, ბრძანება № 106 02.07.2025 წ), რომელიც დამტკიცებულია “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე, კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით . ეს წესი არეგულირებს გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპებს, ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობას და ვადებს, დაწესებულებაში წარსადგენი საბუთების ნუსხას ,



ბავშვის გადაყვანის და ასევე დაწესებულებას და ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ხელშეკრულების გაფორმების პროცესებს. ამავე დოკუმენტის თანახმად, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და ადმინისტრაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა ინახებოდეს ბავშვის პირად საქმეში, სხვა დოკუმენტაციასთან ერთად. თუმცა, ვიზიტის დროს განხორციელებული შემოწმებისას ხელშეკრულებები ვერ წარმოადგინეს. დაწესებულების ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულება ახალი სააღმზრდელო წლიდან გეგმავს ხელშეკრულებების შემუშავებას და გაფორმებას მშობლებთან, თუმცა ეს გაწერილი არ აქვთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. ამ ეტაპზე დაწესებულება ახდენს ბავშვთა რეგისტრაციას მხოლოდ მატერიალური (ნაბეჭდი) ფორმით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ, უზრუნველყოს თავს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული “ბავშვთა ჩარიცხვისა და ამორიცხვის” დოკუმენტით გაწერილი ყველა პუნქტის შესრულება. კერძოდ, შეიმუშავოს დაწესებულებას და ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დასადები ხელშეკრულება და ბავშვთა ჩარიცხვა მოახდინოს ამ ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება შეიმუშავებს დაწესებულებასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დასადები ხელშეკრულების ფორმას და გააფორმებს ხელშეკრულებებს. ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვას მოახდენს ხელშეკრულების საფუძველზე. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (6 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პერსონალის პირად საქმეებს აწარმოებს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” (დანართი N 9 დამტკიცებულია ბრძანებით N 105, 02.07.2025 წ), ხოლო ბავშვთა პირად საქმეებს “ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესის” (დანართი N 11, ბრძანება № 106 02.07.2025 წ) შესაბამისად.

“პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში” გაწერილია პერსონალის მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია, რაც უნდა ინახებოდეს თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში. საგულისხმოა, რომ პირადი საქმის წარმოების წესის განსაზღვრისას, დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს კანონმდებლობით (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N 463 დადგენილება) სავალდებულოდ განსაზღვრული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, როგორცაა:

- 1) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
- 2) ცნობა „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“;
- 3) “ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ“;

აღნიშნული ცნობები უნდა იყოს ყველა თანამშრომლის პირადი საქმის შემადგენელი ნაწილი, რაც არ არის წარმოდგენილი დაწესებულების პერსონალის პირად საქმეებში.

რაც შეეხება ბავშვების პირად საქმეებს, სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი გაწერილია მარეგულირებელ წესში, თუმცა ადგილზე დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ პირად საქმეებში არ არის მშობელსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რაც თავისთავად არღვევს მარეგულირებელი წესის პირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: უზრუნველყოს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი” და “ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის დოკუმენტით” გათვალისწინებული ყველა პუნქტის შესრულება. ასევე, პერსონალის შემთხვევაში - წარმოადგინონ პირად საქმეში ჩასადები კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია (ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“, „ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ“) , ხოლო ბავშვების პირად საქმეებში შევიდეს ხელშეკრულება დაწესებულებას და ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს „პერსონალის მართვის დოკუმენტით“ და „ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის დოკუმენტით“ გათვალისწინებულ ყველა პუნქტის შესრულებას. კერძოდ: პერსონალის პირად საქმეებში განთავსდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია (ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“, „ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ“) , ხოლო ბავშვების პირად საქმეებში



განთავსდება ხელშეკრულება დაწესებულებას და ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (6 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის N 105 ბრძანებით), (გავეცანით ადგილზე);
2. დანართი N11 - ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის N106 ბრძანებით);
3. პერსონალის პირადი საქმეები (ადგილზე);
4. ბავშვების პირადი საქმეები (ადგილზე);
5. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (4.2)
6. ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას



აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:



4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	--	---	---

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმი, სადაც გაწერილი იქნება ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე. თუმცა, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებობს სივრცე, სადაც შესაძლებელია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა. დაწესებულებაში მომუშავე სამი მედიკოსი არცერთს არ აქვს გადაუდებელი პირველადი დახმარების აღმოჩენის კუთხით გადამზადება გავლილი. დაწესებულება აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღიკვეთის ჟურნალს. სამედიცინო პერსონალს შინაგანაწესში გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით არ აქვს მედიკამენტური ჩარევის უფლება. მას აქვს პასუხისმგებლობა, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას და მშობელს. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებაში მედიკამენტების გამოყენება დაშვებული არ არის, სამედიცინო სივრცეში მოწყობილია მხოლოდ მოსასვენებელი ფიზიკური გარემო, შესაბამისი აღჭურვილობით.

ინდიკატორის მეორე მოთხოვნა ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციების რეაგირებას და დაწესებულებას ავალდებულებს შემუშავებული ჰქონდეს საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც უნდა ახდენდეს საგანგებო სიტუაციების იდენტიფიცირებას, განსაზღვრავდეს საგანგებო სიტუაციებში პასუხისმგებელ პირებს, მათი ქცევის წესებს და პროცედურებს. გეგმის შემუშავება უნდა შეთანხმდეს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცდეს დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული გეგმა დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს, თუმცა, გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში (პუნქტი 4.6), განსაზღვრული აქვთ შესრულების ვადები (12 თვე), შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და ადამიანური რესურსი. დაწესებულების შენობაში (ორივე სართულზე) გამოკრულია საევაკუაციო გეგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ეზოში არსებული მცენარეების ინვენტარიზაციის დოკუმენტი. დაწესებულებამ თვითშეფასების ფორმაში მიუთითა არასრული ჩამონათვალი ეზოს სივრცეში არსებული მცენარეებისა. მწვანე საფარის აღივსის დამადასტურებელი ცალკე დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას - მცენარის აღწერილობას პერსონალის ან ბავშვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების შესახებ- არ გააჩნია. ეზოში არის ისეთი მცენარეები (ვარდები), რომელთა შესახებაც არც თვითშეფასების ფორმაში არაა აღნიშნული. ეზოს უკანა მხარეს არის ბალახის (ეკლიანი) საფარი, რომელიც საფრთხის შემცველია ბავშვებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს გარე სივრცეში არსებული მცენარეების აღრიცხვა. აღრიცხული მცენარეების შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა მოიცავდეს მონაცემებს მცენარის ბავშვის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების შესახებ.

რჩევა

მცენარეების ინვენტარიზაციის დოკუმენტი სასურველია შედგენილი იყოს კომპეტენტური პირის მიერ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება აღწერს გარე სივრცეში არსებულ მცენარეებს და მოიძიებს ინფორმაციას აღრიცხული მცენარეების ბავშვების



ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების შესახებ. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (6 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შემუშავებული მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის თანხმობაზე და ასევე, წერილობითი თანხმობა ბავშვისთვის ფოტო/ვიდეოს გადაღება/გამოქვეყნების ნებართვაზე. აღნიშნული თანხმობის ფორმები ინახება ბავშვის პირად საქმეში. ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის თაობაზე მშობლის ინფორმირება ხდება წინასწარ, პირადი გასაუბრების ან სატელეფონო ზარის შედეგად. რაც შეეხება ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის წესებს/პროცედურებს, არ აქვს გაწერილი დაწესებულებას დოკუმენტის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს/გაწეროს ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის წესები/პროცედურა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება შეიმუშავებს ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანის წესებს/პროცედურებს. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (6 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.



4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში, თითოეულ ჯგუფს აქვს დღის განრიგი, რომელიც დასურათებულია და განთავსებულია კედელზე. შესაბამისად, ყველა ბავშვს აქვს საშუალება თვალი მიადევნოს დღის განმავლობაში მიმდინარე მოვლენების და აქტივობების მონაცვლეობას. დღის განრიგის არსებობა სასწავლო პროცესს უფრო თანმიმდევრულს და ორგანიზებულს ხდის, რაც ჯგუფში გარკვეულ წესრიგს უზრუნველყოფს. განრიგის საშუალებით ბავშვებმა წინასწარ იციან დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი. შესაბამისად, აქვთ გარკვეული მოლოდინები და თავს უფრო უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობენ და ტრანზიციის პროცესებიც უადვილდებათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ვალდებულია დაიცვას ბავშვის უფლებათა სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, როგორიცაა: “ბავშვის უფლებათა კონვენცია” და საქართველოს კანონი “ბავშვის უფლებათა კოდექსი”. დაწესებულების ხელმძღვანელთან და



პერსონალთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი (დანართი N 18 - “ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი” -დამტკიცებულია ბრძანებით N 88 23.06.2025 წ), თუმცა პერსონალი არ იცნობს შესაბამის წესს და პროცედურებს. ასევე, არ დასტურდება პერსონალის გადამზადება ბავშვთა უფლებების , ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის ინფორმირება/გადამზადება ბავშვთა უფლებების, ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირება/გადამზადებას ბავშვთა უფლებების, ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (12 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს “ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი” (დანართი N18), რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ კასპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ (ბრძანება N 88 23.06.2025 წ) . წესი შეესაბამება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ეს დოკუმენტი არეგულირებს დაწესებულების



თანამშრომლებს შორის ვალდებულებების/პასუხისმგებლობების გადანაწილებას ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის კუთხით და ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლენისა და მასზე შესაბამისი რეაგირების პროცედურებს. წესში გაწერილია დაწესებულების ვალდებულებები ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის სისტემაში და განსაზღვრულია რეფერირების ეტაპები. დოკუმენტში გაწერილია ასევე რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის რეაგირების მექანიზმი და რეფერირებასთან დაკავშირებული პროცედურული წესები.

დაწესებულების ხელმძღვანელს ასევე ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი (დანართი N 33, ბრძანება N 117, 15.07.2025 წ.).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ხელმძღვანელთან და აღმზრდელებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულება ზრუნავს ბავშვების გარემოსთან ადაპტაციაზე და სააღმზრდელო პერიოდში მიმდინარე ტრანზიციებზე. ბავშვის ბაღის გარემოსთან ადაპტაციის კუთხით, სააღმზრდელო წლის დაწყებამდე ადმინისტრაცია ბავშვებს და მშობლებს აძლევს საშუალებას ესტუმრონ ბაღს, დაათვალიერონ სააღმზრდელო ჯგუფები, გაეცნონ ეზოს და გარემოს. ეს ყოველივე ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისთვის ახალ გარემოში კომფორტულად მოწყობის მხრივ. რაც შეეხება მცირე



ტრანზიციებს, აღმზრდელებს აქაც შემუშავებული აქვთ ტექნიკები იმისათვის, რომ ბავშვის ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა სასიამოვნო და საინტერესო იყოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება საქმიანობის პროცესში ფლობს ბავშვის და მისი ოჯახის პერსონალურ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია ინახება ბავშვის პირად საქმეებში და მასზე წვდომა აქვს მხოლოდ დაწესებულების ადმინისტრაციას. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის და კონფიდენციალურობის დაცვის პროცედურები;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის, დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის და კონფიდენციალურობის დაცვის წესი/პროცედურები;

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება შეიმუშავებს პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის და კონფიდენციალურობის დაცვის წესებს/პროცედურებს. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (12 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილ შესაბამისობად**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. . დანართი N 18 - “ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი” (დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23 ივნისის N88 ბრძანებით);
2. დანართი N 33 - ა(ა)იპ კასპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 15 ივლისის N 117 ბრძანება „რეგულირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ“;
3. შენობის საევაკუაციო გეგმა (ადგილზე)
4. ინტერვიუს შედეგები;
5. მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის თანხმობაზე და ასევე ფოტო/ვიდეოს გადაღებაზე;
6. დღის განრიგი (ადგილზე);
7. ბავშვების პირადი საქმეები (ადგილზე);
8. დანართი N 29 - ტრანზიციის ამსახველი ფოტო მასალა
9. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

შეფასება:

4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	--	---	---



4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კასპის N 4 საბავშვო ბაღი წარმოადგენს კასპის სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულს. შესაბამისად ფინანსურად უზრუნველყოფს გაერთიანება. გაერთიანების მიერ გაწერილ ბიუჯეტში არ არის განსაზღვრული ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ცალკე ხარჯი, არამედ ყველა სტრუქტურული ერთეულის ხარჯი შეკრებილია და გაწერილია მთლიანი წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტში განსაზღვრულია შრომის ანაზღაურების ხარჯები, ოფისის ხარჯები, კვების ხარჯები, ტრანსპორტის ხარჯები და სხვა. ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. რადგან ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, შესაბამისად, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ფინანსური რესურსით პროცესების უზრუნველყოფის შესახებ დოკუმენტი. დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმის შემუშავება (პუნქტი 4.7), განსაზღვრული აქვს შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება. უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი უნდა ჰქონდეს თითოეული აქტივობის შესაბამისი ფინანსური რესურსი. განსაზღვროს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები და საჭირო ადამიანური რესურსი.

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად, დაწესებულება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ყოველწლიურად უნდა ითვალისწინებდეს განსაზღვრული რაოდენობის ფინანსურ რესურსს, რაც საჭიროა მის მიერ დამტკიცებული კურსკულუმის განხორციელების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, გაწერილი ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილი უნდა დასტურდებოდეს შესყიდვის დოკუმენტაციით: ინვენტარიზაციის აქტით ან სხვა მეთოდებით. ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა „ა(ა) იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ 2025 წლის ბიუჯეტი და ასევე, გაერთიანების მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი, რითიც დასტურდება სასწავლო რესურსის გადაცემა გაერთიანებაში შემავალი 28 სტრუქტურული ერთეულისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტებით იმის დადგენა, თუ რამდენად უზრუნველყოფს დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, შეუძლებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ყოველწლიურად უნდა ითვალისწინებდეს განსაზღვრული რაოდენობის ფინანსურ რესურსს, რაც საჭიროა მის მიერ დამტკიცებული კურსკულუმის განხორციელების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, გაწერილი ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილი უნდა დასტურდებოდეს შესყიდვის დოკუმენტაციით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულების ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება კურიკულუმის მიზნების განხორციელებისთვის საჭირო რესურსი. ამასთან, ბიუჯეტის მუხლებში შესაძლებელი იქნება იმის იდენტიფიცირება თუ რომელი ბალისთვის რა ფინანსური რესურსებია გამოყოფილი და რა დაიხარჯება კურიკულუმის მიზნებისთვის საჭირო რესურსების შესაძენად. განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (12 თვე), შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

